ხონი

2021 წელი
14
სექტემბერი
სამშაბათი
№11 (7532)

ხონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1932 წლის 5 იანვრიდან

2 ოქტომბერი იდგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეა!

ხონის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები

ლადო ჯურხაძე

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

4 სექტემბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხონის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად წარადგინა ლადო ჯურხაძე.

ლადო ჯურხაძე დაიბადა 1977 წლის 17 ივნისს, ხონში.

1994 წელს დაამთავრა ხონის მეორე საშუალო სკოლა, 1994-98 წლებში სწავლობდა ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და სამართალმცოდნეობის მეორად სპეციალობაზე.

2001 წელს სწავლობდა „კავკასიის ბიზნესის სკოლის" სამაგისტრო პროგრამაზე – MBA.

2016–2017 წლებში გაიარა „თავისუფალი უნივერსიტეტის" სასერტიფიკაციო პროგრამა CFM.

1999 წელს მუშაობდა სადაზღვეო კომპანიაში „ალდაგი" სადაზღვეო აგენტად. 2000–2006 წლებში „ენერგოგენერაციაში" სხვადასხვა პოზიციები ეკავა – იყო რიგითი ბუღალტერი, მთავარი ბუღალტერი, ფინანსური მენეჯერი.

2007 წელს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემაში შიდა აუდიტორად ფინანსური განხრით;

2007 წელს იყო სს „ტრანსმშენის" ფინანსური დირექტორი;

2009–2017 წლებში ჰოლდინგურ კომპანია „კაუკაზუს ოტომოუტიე რითეილში" ფინანსურ დირექტორად.

2017 წელს არჩეულ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის მერად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

„ძვირფასო ხონელებო, პირველ რიგში მსურს მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისთვის, რომელიც 4 წლის წინ გამომიცხადეთ და მხარდაჭერისთვის, რასაც მთელი ამ დროის განმავლობაში თითოეული თქვენგანისგან ვგრძნობდი.

ჩვენ ერთად გავიარეთ ძალიან რთული, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერი პერიოდი. ჩემს მიერ დასახული მიზნების ნაწილი უკვე განხორციელდა ან მიმდინარე, სამუშაო პროცესშია. თუმცა, კარგად ვაცნობიერებ, რომ პრობლემები გაცილებით მეტია და გარწმუნებთ, ჩემს გუნდთან ერთად, თქვენთან ერთად ყველა გამოწვევას აუცილებლად გავუმკლავდებით.

მჯერა, ხონი მალე გახდება თანამედროვე ევროპული სტანდარტების ქალაქი, ერთად დავდგეთ ხონის გამარჯვებისათვის".

ზურაბ ჯიბუხაია _

ოპოზიციის შეთანხმებული კანდიდატი

დაიბადა 1965 წლის 18 ივლისს ხონის რაიონის სოფელ საწულუკიძეოში.

1982 წელს დაამთავრა ქალაქის პირველი საშუალო სკოლა.

1984-1986 წლებში გაწვეული გახლდათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1986-91 წლებში სწავლობდა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე.

1992-2003 წლებში მუშაობდა ახალგაზრდული კავშირების ლიგის თავმჯდომარის მოადგილედ, იმავდროულად იყო გაზეთ „თაობის" სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

2001 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი.

2004 წელს დაინიშნა ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ.

1999, 2006 და 2010 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული გახლდათ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.

2010 წელს დაინიშნა ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლად, სადაც მუშაობდა 2014 წლის 10 თებერვლამდე.

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული გახლდათ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად, არის ფრაქცია-„ხონის" თავმჯდომარე.

არის დაოჯახებული, ჰყავს მეუღლე - მარიეტა ფარცხალაძე, შვილიშიო ჯიბუხაია.

„ევროპული საქართველო–მოძრაობა თავისუფლებისთვის" ოპოზიციის შეთანხმებული კანდიდატის ბატონ ზურაბ ჯიბუხაიას სამომავლო გეგმები, პრიორიტეტები სწორედ ხონის მუნიციპალიტეტის, მისი მოსახლეობის წინსვლასა და აღორძინება- განვითარებაზეა ორიენტირებული. იგი მერად არჩევის შემთხვევაში მოსახლეობას პირდება შემდეგს:

1. ტურიზმის, მცირე და საშუალო ბიზნესის, სასოფლო-სამეურნეო პროგრამების ხელშეწყობასა და ამით დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

2.საძოვრების, სასოფლო-სამეურნეო მიწების, სასოფლო ტყეების თვითმმართველობის საკუთრებაში გადაცემას.

3. წყლის სათავე ნაგებობის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის გაფართოებას.

4. შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას და სხვა.

2 ოქტომბერი აღგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეა!

ხონის №55 საოლქო-საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან:

ქ. ხონის I ზონა

ვაჟა ცაგარეიშვილი

მესამე ძალა

ნანიბარიოლა ბეგია

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ვალერი ბარბაქაძე

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

ქ. ხონის II ზონა

�eo

ჯოტე გვილავა

მესამე ძალა

ბესარიონ ქელეძე

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ამირან ჯაში

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

III ზონა, გორდი

ლაშა გელენიძე

ევროპული საქართველო

იუზა ჩიხლაძე

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

IV ზონა, მათხოჯი

ზვიადი ჩიმაკაძე

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ნინო ჯუხაღაშვილი

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

V ზონა, დედალაური

მოხენა ქოლოყავა

ევროპული საქართველო

ია სეფეხია

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

VI ზონა, ჯუხი

ლევან ჯიმშელეიშვილი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

მინდია გველებიანი

გახარია-საქართველოსთვის

ვახტანგ ვაქარაძე

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

VII ზონა, გუბი

ზაზა ვაშაყიძე

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

ჩაფე ვაშაყიძე

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

IX ზონა, ივანდიდი

ქეთევან ჯიშკარიანი

მესამე ძალა

ვალერიან ქელბაქიანი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ელისაბედ ლიპარტელიანი

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

VIII ზონა, ქუტირი

ზურაბ მიქაძე

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

ალმასხ ბუაძე

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

X ზონა, ნახახულევი

გოჩა ჯიბუხაია

ევროპული საქართველო

მათე ჩანკსელიანი

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 2021 წლის 2 ოქტომბერს ხონის №55 საოლქო საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული შემდეგი პარტიები:

№1 „მესამე ძალა“,

№2 „ევროპული საქართველო–მოძრაობა თავისუფლებისთვის“.

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

№8 „დავით თარხან–მოურავი, ირმა ინაშვილი–საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.

№9 „ლელო“.

№10 შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია.

№14 გოგი წულაია – ახალი ქრისტიან–დემოკრატები.

№25 გახარია–საქართველოსთვის.

№36 „გირჩი“.

№41 ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო.

გილოცავთ

გილოცავთ!

ხონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე ისტორიკოსს, ისტორიული მუზეუმის ამაგდარსა და თანამშრომელს **ავთანდილ ფაილოძეს** კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

ჯილდო მას პირადად **ლადო ჯურხაძემ** გადასცა და წარმატებები, ჯანმრთელობა და ხანგრძლივი მოღვაწეობა უსურვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **მანანა გოფოძე,** ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები და ბატონი ავთანდილის ახლო მეგობრები.

გაზეთ „ხონის“ რედაქცია ულოცავს ბ-ნ ავთანდილ ფაილოძეს დამსახურებული წოდების მინიჭებას.

თეა გოგუასა და სერგი გოფოძეს, მარინა ფანცულაიასა და თამაზი გოფოძეს, აკაკი გოფოძეს!

გილოცავთ და ვლოცავთ თქვენს ახალდაბადებულთ – **მარიამსა და ანასტასიას.**

ბედნიერნი, ჯანმრთელნი, სახელოვანნი და წარმატებულნი გაგეზარდოთ. უფალი იყოს თქვენი ორი პატარა ფერიას მფარველი, გამრავლდით და გაიხარეთ!

ბებია–ბაბუობას, ბიძობას გილოცავთ ჩვენო ძვირფასებო, იხარეთ, იმრავლეთ!

ნუნუ ფანცულაია, თინათინ და სოსო დადუნაშვილები.

გაზეთ „ხონის“ რედაქცია უერთდება ამ კეთილ სურვილებს და ულოცავს ქ-ნ მარინა ფანცულაიას, თამაზი და აკაკი გოფოძეებს, მშობლებს–თეა გოგუასა და სერგი გოფოძეს ტყუპების – მარიამისა და ანასტასიას დაბადებას, ტყუპ გოგონებს ტყუპი ბიჭები მიმატებოდეს. გამრავლდით და გაიხარეთ!

ვონების ზღვარზე

„ვერ ვთქვი ბოლომდე, რაც სათქმელია,“–ო, ბრძანებთ ქ-ნო ნია და ეს უფრო თავმდაბლობაა, ჩემი აზრით, ვიდრე განცდა. რამეთუ თქვენი ნააზრევი, რასაც ერთ პატარა სკივრში თავი მოუყარეთ, მერე წიგნად გამოეცით და **„გონების ზღვარზე“** უწოდეთ, არის ყველა ჩვენგანის სათქმელი, რომელიც ზოგმა ვერ გავბედეთ და ვერ ვთქვით, ზოგიც ჭეშმარიტების გზას ავცდით, ზოგიც სხვაგვარად ფიქრობს, ზოგსაც კი ნაკლებად აღელვებს (ან სულაც არ ანალვლებთ) საჭირბოროტო საქმენი. ასეა თუ ისეა, კაცის სიმართლე მართლაც რომ ბუნდოვანია! აი, თქვენ კი თქვით!..

ახლახანს გამოცემული **ნია გორდელის** წიგნი **„გონების ზღვარზე“** გაგრძელებაა უნიჭიერესი ქალბატონის აზრთა კრებულის **„თვალთახილვა“**. აქაც, ისევე როგორც სხვაგან, ლექსებსა თუ ნაწარმოებებში, ქ-ნი ნია უსაშველოდ დიდი სიყვარულით დააბიჯებს ამ ცოდვილიან მიწაზე და ყველას თხოვს, სიყვარულით იცხოვრონ, სიკეთით იღვაწონ, სიხარულით იცოცხლონ, მთელი არსებით შეიცნონ ბუნების მშვენიერება,... არასოდეს დაკარგონ იმედი და გაამართლონ თავიანთი დანიშნულება ამ ქვეყანაზე.

...ქ-ნ ნიას **(ნაირა უგულავა)** რამდენჯერმე შევხვდი, ყოველ ჯერზე მოვიხიბლე მისი პიროვნებით და იმდენჯერვე აღმოვაჩინე იგი. რატომ? იმიტომ რომ, მისი პოეზიაა ძალიან ღრმა და ტევადი, იმიტომ რომ, მისი **„ბრალის თეორია“** ერთი ცხოვრებისეული ფილოსოფიაა, რომელშიაც კარგად ჩანს ადამიანის სახე,... და იმის გამოც, რომ მის სუბიექტურ აზრებში, რომელიც თავისთავად ცხადია, ყველასთვის მისაღები ვერ იქნება, ყოველთვის ჩანს სიკეთე, უფლის დაუსრულებელი სიყვარული, უკიდეგანო სამყაროს სილამაზე და შენი – ადამიანის ადგილი, როლი, შესაძლებლობანი, რომელნიც აფერადებენ, ათბობენ ქვეყანას, მით უმეტეს ახლა, როცა **„მძიმე სოციალური და სულიერი კრიზისის ფონზე ამ სამყაროს მშვენიერი ფერები თანდათან უფერულდება“ (ნ.გორდელი).**

ქ-ნი ნია წიგნში ეხება თითქმის ყველა მნიშვნელოვან თემას და ძალიან ფრთხილად, მოზომილად გვაზიარებს სრულ სიბრძნეს. რამდენგზის აღეფრთოვანდი კითხვისას! როგორი ინტელექტი, ცხოვრებისეული გამოცდილება, დაკვირვება უნდა ჰქონდეს, ასე ფაქიზად შეეხოს ადამიანის ფენომენს, რელიგიას, ბუნებას, მეცნიერებას, თანამედროვე ტექნოლოგიებს, პოლიტიკას, ხელოვნებას, ტრადიციებს, სიმართლე–სამართლიანობას, თავისუფლებას, ახალგაზრდობას,... ბური, აგრესია, ბრალი,... და სხვადასხვას და ფასდაუდებელი შრომა ჩადოს, რათა საზოგადოებას თავს კი არ მოახვიოს თავისი შეხედულებები, არამედ თვით საზოგადოებაც დაინტერესოს და მსჯელობა–კამათის, ორიგინალური და განსხვავებული მოსაზრებების ფონზე მივიდეთ მართებულ, რეალურ გადაწყვეტილებამდე. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ადამიანების კეთილგონიერ, საღ პიროვნებებად ჩამოყალიბებას. ქ-ნი ნიას უდიდესი სურვილიც ესაა – ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა ამ სამყაროში საკუთარი როლი უშეცდომოდ, უფლის სიყვარულით, იმედითა და სიკეთით შეასრულოს... და ერთმანეთს ვაჩუქოთ სიხარული, სიყვარული და ყველამ ერთად ვადიდოთ უფალი, რადგან **„უფლის არსის მრავალგანზომილებიან სივრცეში ერთი ხაზი ადამიანისიცაა, რომელიც შეიძლება აღმავალი ან დაღმავალი იყოს. შეუერთდება თუ არა მისი აღმავალი ხაზი უფლის ყოვლისმომცველ სამყაროს, ეს ადამიანისთვის სავსებით უცნობია“**, – წერს ქ-ნი ნია და იქვე შეგვაგონებს **„გაკაფე და გაათავისუფლე სულის სამზირალი“.**

ქ-ნი ნიას წიგნში ერთი თავი დასათაურებულია ასე: **„შეხვედრები საკუთარ თავთან“**, საოცარია. არ ვიცი, რა ვუწოდო თითოეულ ნააზრევს. ეს სიბრძნეა, უდიდესი სიბრძნე! თუმცა, როგორც თავად წერს, **„სიბრძნე ერთია, მისი სხვადასხვანაირად წამკითხველი–მრავალი“.** დიახ, მართალს ბრძანებთ, მაგრამ თითოეულმა ჩვენგანმა ჭეშმარიტება უნდა ვეძებოთ, ბრალი ჯერ საკუთარ თავში აღმოვაჩინოთ, გავთავისუფლდეთ მისგან და... და ვიყოთ მიმტევებელნი, რამეთუ წუთის წუთი გახდა ჩვენი ცხოვრება, უფალს მივუახლოვდეთ, უფალი მოწყალეა. ვერც სიბრძნე, ვერც ფილოსოფოსთა მჭერმეტყველება, ვერც პოლიტიკა,... ქვეყანას, სამყაროს ვერ ცვლის. ეს მხოლოდ და მხოლოდ უფლის ნებაა. მივენდოთ მას. ღმერთი დაგვანახებს გზას ჭეშმარიტებისაკენ, ერთი კია, რომ **„ჭეშმარიტებას შესაფერის საყდარს ვერ აუგებ“ (ნ. გორდელი).**

... ყველამ უნდა წაიკითხოს უგანათლებულესი ქალბატონის ეს წიგნი (და არა მარტო ეს!), რადგან დარწმუნებული ვარ ბევრ რაიმეზე ჩაგაფიქრებთ, გადაწყვეტილებასაც კი მიგაღებინებთ და ხელიდან ვერ გაუშვებთ. ადამიანის არსებობის ერთგვარი პროგრამაა, დღის რეჟიმია, ცხოვრების წიგნია **„გონების ზღვარზე“...**

გმადლობთ, ქ-ნო ნია, რომ ასეთი სულიერი საზრდო მოგვეცით. მე კარგა ხანი ვერ გამოვედი ემოციებიდან, როცა **„ბრალის თეორია“** წავიკითხე, ეს კი ძალიან, ძალიან შენეულია, შინაგანად თითქოს შენც ასე გრძნობ და ვერ გამოთქვი ან გამოთქვი, მაგრამ ასე ლამაზად და მრავალმნიშვნელოვნად – ვერა. ეს ყველაფერი ცივი გონებით, ქალური ინტუიციით, გამორჩეული სიმშვიდით, ათასგზის ანონ-დანონის, გადახარშვისა თუ გადახარისხების,... ნააზრევია, ამიტომაც არის ღრმა, ფილოსოფიურიც და რეალური. ამიტომაც ვერ წაიკითხავ, როგორც ერთ კომპოზიციურად შეკრულ ნაწარმოებს, ვერც როგორც სხვადასხვა სიუჟეტიან ქმნილებას,... ეს არის სამაგიდო წიგნი, რომელსაც ყოველდღე უნდა ჩახედო, წაიკითხო, გაიაზრო, რეალობაში გამოიყენო. ასეთი წიგნები ერთეულია. თქვენც ერთეულთა შორისა ხართ ქ-ნი ნია. ეს არ დარჩა შეუმჩნეველი საქართველოს მწერალთა კავშირს და დამსახურებულად მოგანიჭეს ყველაზე დიდი ჯილდო მწერლობაში **თამარიონის ენდალმა (სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით ენდალმა – წერილი ბრძანებათა ღვთისა, გინა მეფისათა).** ახლახანს ბათუმში გამართულ მწერალთა შეკრებაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა** ქ-ნ ნიას ნაყოფიერი, შემოქმედებითი მოღვაწეობისა და წიგნის **„ბრალის თეორიის“** გამოცემისათვის გადასცა ეს ჯილდო. ღირსეულს – ღირსეული აღიარება! გილოცავთ. წინ სავალი გზები, თქვენი მადლიანი სიტყვა დამილოცნია, დღეგრძელობა და მზეგრძელობა გქონოდეთ ძვირფას ოჯახთან ერთად ქ-ნო ნია.

მეამაყება, რომ სტამბიდან გამოსული, ჯერ კიდევ თბილ-თბილი, მელანშეუშრობელი წიგნი მისახსოვრეთ. ჩემთვის პატივია, თქვენი ნააზრევი მცირედით მაინც შევაფასო... გაიხარეთ!

მკითხველი იცნობს ქ-ნი ნიას პოეზიას, თუმცა, მაინც მინდა შევახსენო, რომ პროფესიით ექიმი, წარმატებული ქალბატონი, ძვირფასი დედა, საყვარელი ბებია, ღირსეული მეუღლე, უღალატო მეგობარი, დიდი ოჯახისა და სანათესაოს დასაყრდენი, იმედი,... ასწრებს ყველაფერს და ასე გვანებივრებს ჩვენც ტკბილხმოვანი პოეზიითა და ფასდაუდებელი ნაწარმოებებით, წიგნებით, რომელთაც დრო უკეთ შეაფასებს.

მაია ფეიქრიშვილი

მარიამ მურღვლიანი ევროპის ჩემპიონია!

ეს ის გოგონაა, რომელმაც ევროპა აალაპარაკა, რომელმაც საქართველოს უდიდესი სიხარული მოუტანა, მშობლიური ხონი მსოფლიოს გააცნო და, რომლის ფესვები აფხაზეთიდან მოდის... მისით დღეს მთელი ქვეყანა ამაყობს. დიახ, არ მოგესმათ, ამაყობს ერი, მშობლიური კუთხე, ოჯახი, მეგობრები, უბრალო ნაცნობები თუ უცნობები...

მარიამ მურღვლიანი ხონში დაიბადა და გაიზარდა. მისი ოჯახი აფხაზეთიდან დევნილია. 14 წლის გოგო ხონის №-4 საჯარო სკოლის მე-10 კლასის წარჩინებული მოსწავლეა. დედა **ნესტანი ბილისეიშვილი** უკვე წლებია ემიგრანტია, მამა - **რომეო მურღვლიანი**, მარიამს ბებია-**ნათელა მამარდაშვილი** ზრდის. სპორტსმენ გოგონას გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად ძალიან უყვარს წიგნების კითხვა, მუსიკა, ცეკვა, მეგობრებთან თავისუფალი დროის გატარება. მარიამის პირველი ნაბიჯები ძალოსნობაში ექვსი წლის წინ დაიწყო. ოჯახისგან მალულად შედგა ფეხი დარბაზში სავარჯიშოდ და ჩუმად გაატარა რამდენიმე თვე... შემდეგ კი დედას და ბებიას ნელ-ნელა შეეპარა, რომ ძალოსნობაზე დადიოდა, ეს მისი უდიდესი ოცნება იყო და არ სურდა ოჯახს მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. მარიამმა დედას მისცა პირობა, რომ ხელს თუ არ შეუშლიდა სპორტზე სიარულში, ბოლომდე იშრომებდა უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად, ოქროს გოგონამ პირობა შეასრულა და არამარტო ოჯახსა და ხონს, არამედ მთელს საქართველოს ღირსეული და დამსახურებული გამარჯვება მოუტანა...

მარიამ მურღვლიანი ძალოსნობაში სხვადასხვა წონით კატეგორიაში რეკორდსმენია, არის მრავალგზის ტურნირების გამარჯვებული, საქართველოს ძალოსანთა ქალთა ნაკრების წევრი.

რაც შეეხება მარიამის ერთადერთ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას, პოლონეთში გაიმართა 15 წლამდე ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც დებიუტანტმა **მარიამ მურღვლიანმა** შეუძლებელი შეძლო, რეკორდი დაამყარა და გამოსვლა ტრიუმფით დაასრულა. ის ერთადერთი ქართველი გოგოა, რომელმაც კონტინენტის პირველობაზე საქართველოს ძალოსანთა ნაკრებს ოქროს მედლები მოუტანა. მან ატაცში 85 კგ, აკვრაში 105 კგ და ორჭიდში 190კგ მოიპოვა.

დამეჯერეთ, იოლი ნამდვილად არ არის, ასეთი მასშტაბის ტურნირში მონაწილეობა მიიღო, ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვო, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ახვიდე და შენი ქვეყნის - საქართველოს ჰიმნი ააჟღერო. 14 წლის მარიამმა კი ეს ღირსეულად, დამაჯერებლად, უკონკურენტოდ შეძლო და მის ანგარიშზე ცხრა რეკორდი და სამი ოქროს მედალია.

მარიამი მის პირად მწვრთნელთან **აკაკი კაკაბაძესთან** ერთად რედაქციაში გვესტუმრა: **„ასეთი დიდი მასშტაბის ტურნირზე როდესაც გაიმარჯვებ და შენი ქვეყნის ჰიმნს ააჟღერებ, ენით აღუწერელი შეგრძნება და ბედნიერებაა. შეუძლებელია ბედნიერი და ამაყი არ იყო ამ გამარჯვებით. ეს გამარჯვება მარტო ჩემი კი არა, ჩემი საქართველოს, ჩემი ხონისა და ჩემი აფხაზეთის გამარჯვებაა, აფხაზეთისა, საიდანაც ჩემი ფესვები მოდის, არასოდეს ვივინყებ მას და მჯერა, რომ დავბრუნდებით... ძალიან ამაყი ვარ ჩემი პირადი მწვრთნელით-აკაკი მასნავლებლით, რომელიც არასოდეს მაძლევდა მოდუნების უფლებას**

და, რომელმაც მომცა საშუალება დამემტკიცებინა ჩემი შესაძლებლობები. ძალიან ვამაყობ აკაკი მასნავლებლით, ვთვლი, რომ ეს მისი პირადი გამარჯვებაცაა. ასევე მადლობელი ვარ ნაკრების მწვრთნელის თემურ ჯანჯღავასი, ის მთელი 5 დღის განმავლობაში, რაც ევროპაზე გავატარეთ, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გამარჯვებისთვის მიმეღწია...

ფინალში საკმაოდ ძლიერი კონკურენტი, თურქი მეტოქე შემხვდა, თუმცა მას ფსიქოლოგიურად ვაჯობე და გამარჯვებაც მოვიპოვე. მას ატაცში 1 კგ-ით, აკვრაში კი 4 კგ-ით მოვუგე. საერთო ჯამში ევროპიდან 16 ოქრო ჩამოვიტანეთ, აქედან 6 ოქროს მედალი ქალთა ნაკრებმა მოვიპოვეთ“, – გვითხრა მარიამმა.

შემდეგ საუბარში მარიამის პირადი მწვრთნელი **აკაკი კაკაბაძე** ჩაერთო: **„სანამ მარიამი ევროპაზე გაემგზავრებოდა, ჩვენ ბევრი საუბრები გვქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით. მას ვუთხარი, რომ 85-105 მოიგებს-თქო და გამართლდა კიდეც ჩემი იმედები. ამ ბავშვმა ძალიან ბევრი იმუშავა საკუთარ თავზე. იშრომა, იბრძოლა და შედეგი დადო კიდეც. მარიამი არასოდეს დუნდება, ის შეკრებაზე ლაშა ტალახაძესთან ერთად ვარჯიშობდა, რასაც ნაკრების მთ.მწვრთნელი ეტყოდა, ზედმიწევნით ასრულებდა ყველაფერს და ეს აისახა კიდეც შედეგზე. ჩემს ამდენწლიან პრაქტიკაში მარიამი პირველი ევროპის ჩემპიონია, ხოლო ჩვენს ქალაქს - ხონს, ჰყავს პირველი ოქროსმედალოსანი გოგონა, ისიც 14 წლის. ევროპაზე იმ იმედით გავაცილე მარიამი, რომ ვიცოდი, მოიგებდა. მარიამის გამარჯვება ჩემი უდიდესი გამარჯვებაა“...**

პოლონეთიდან ჩამოსულ მარიამს აეროპორტში პირად მწვრთნელთან **აკაკი კაკაბაძესთან** ერთად ხონის სპორტსკოლის დირექტორი **გუგა ბახტაძე**, ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **კახი კახიაშვილი**, მწვრთნელები, მეგობრები, ნაცნობ-უცნობები დახვდნენ, ხოლო მშობლიურ ხონში ჩამოსულს, დევნილთა დასახლებაში, სადაც ის ცხოვრობს, **ბაჩანა ბასილაიამ** და ქალაქის მერმა **ლადო ჯურხაძემ** მთავრობის წარმომადგენლებთან, ოჯახის წევრებთან და მეზობლებთან ერთად გრანდიოზული დახვედრა და დიდი სიურპრიზი მოუწყვეს... ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯურხაძემ განაცხადა: **„ვეცადეთ სიმბოლურად, რეგულაციების დაცვით დავხვედროდით და გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის ევროპის ჩემპიონის – მარიამ მურღვლიანის მშობლიურ ხონში დაბრუნება. იგი პირველი ქართველი გოგონაა, რომელმაც ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს ოქროს მედლები მოუტანა, მარიამი ამ დასახლებაში გაიზარდა. მჯერა, ჩვენი ქალაქის ბევრი მოზარდისთვის მისი მიზანსწრაფულობა და მიღნეული ნარმატება იქნება მაგალითი და ბიძგი ახალი შემართებით, გაორმაგებული ძალებით გააგრძელონ სპორტული ცხოვრება. კიდევ ერთხელ ვულოცავ მას და ყველა მის გულშემატკივარს!“.**

მარიამ მურღვლიანის ბანერები ამშვენებს ჩვენი ისტორიული ბულვარის შესასვლელს, რომლის იდეაც **გუგა ბახტაძეს** ეკუთვნის.

ამ დღეებში ჩამოსული იყვნენ ჩვენი ქვეყნის პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი**, პარლამენტის თავმჯდომარე **კახა კუჭავა და** სხვა

ოფიციალური პირები, რომლებმაც მერობის კანდიდატად წარადგინეს ჩვენი მუნიციპალიტეტის მერი **ლადო ჯურხაძე**, იქვე პრემიერმა ხაზი გაუსვა **მარიამ მურღვლიანის** გამოსვლას ევროპაზე და კიდევ ერთხელ საჯაროდ მიულოცა, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარემ **კახა კუჭავამ** განაცხადა: **„დღეს, საქართველოს სიამაყე, ხონის სპორტსკოლის აღსაზრდელი, 14 წლის მარიამ მურღვლიანი გავიცანი. მან ძალოსნობაში სამი ოქროს მედალი და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. იგი ყველა ჩვენგანისთვის მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოლო გამარჯვებისთვის, ჩემპიონობისთვის. სნორედ მარიამი და ის ახალგაზრდები, რომლებსაც რეგიონებში ყოველდღიურად ვხვდებით, არის გარანტი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა აუცილებლად იქნება კიდევ უფრო ძლიერი“.**

ხონში, ძალოსნობის სექციაში, დღეს 17 ბავშვი ვარჯიშობს, აქედან 2 გოგო და 15 ბიჭია. კიდევ ერთხელ ვულოცავ მარიამ მურღვლიანს და პირად მწვრთნელს აკაკი კაკაბაძეს ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას! მათ ისტორია ოქროს ასოებით ჩაიწერეს თავის აქტივში. ეს ერთი და სხვა მრავალი! ყველა ძალოსანს წარმატება გქონოდეთ.

იამაყეთ, ხონელებო! მარიამი ჩვენია!

სალომე კალატოზი

მთავრობის გადაწყვეტილებით

ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუმჯობესების ტენდენციიდან გამომდინარე, მაღალი ალბათობით, ქვეყნის მასშტაბით, სკოლების დიდ ნაწილში 4 ოქტომბრიდან სწავლა საკლასო ოთახებში გაგრძელდება. რაც შეეხება პირველკლასელებს - ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, პირველკლასელებმა სწავლა არა 15 სექტემბერს დისტანციურ ფორმატში, არამედ 4 ოქტომბერს, დასწრებით ფორმატში, საკლასო ოთახებში დაიწყონ. ეს გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ და მხოლოდ იმ ქალაქებსა და სოფლებს, სადაც ინფიცირების მაჩვენებელი სწავლის დაწყების მომენტისათვის 4%-ზე დაბალი იქნება. აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება პედაგოგიკურ მოსაზრებას, რომლის თანახმად პირველკლასელთა პირველი სასკოლო გამოცდილება უმჯობესია წარიმართოს საკლასო გარემოში, თანაკლასელებისა და მასწავლებლების გარემოცვაში. რაც შეეხება კერძო სკოლებს, მათ აქვთ არჩევანის საშუალება, სურვილის შემთხვევაში, პირველკლასელთა სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს დისტანციურ ფორმატში დაიწყონ, 4 ოქტომბრიდან კი იმოქმედებენ საჯარო სკოლებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად. შეგახსენებთ, რომ საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლები, პროფესიული სასწავლებლები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 15 სექტემბერს სწავლას დისტანციურ რეჟიმში დაიწყებენ და ამ ფორმატით სწავლა 4 ოქტომბრამდე გაგრძელდება. საკოორდინაციო საბჭო შემდეგ გადაწყვეტილებაზე 4 ოქტომბრის მონაცემების მიხედვით იმსჯელებს. ასევე, 4 ოქტომბრის შემდგომ პერიოდში, იმ სოფლებსა და ქალაქებში, სადაც ინფიცირების მაჩვენებელი 4%-ზე ქვემოთ ჩამოვა, დისტანციური რეჟიმი მოიხსნება და სწავლა გაგრძელდება დასწრებულ ფორმატში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წინა სემესტრის მსგავსად ამ შემთხვევაშიც მაქსიმალურად მოქნილ სისტემას შესთავაზებს სასკოლო საზოგადოებას. კერძოდ, სკოლებს შესაძლებლობა ექნებათ გააკეთონ არჩევანი დასწრებულ და დისტანციურ სწავლებას შორის. ცხადია, ეს გადაწყვეტილება ვრცელდება პირველკლასელებზეც.

კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია!

სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის მოსწავლემ **ნათია ბარაბაძემ**

მოიპოვა 100%-იანი გრანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის მოსწავლემ **მეგი შვანგირაძემ**

მოიპოვა 100%-იანი გრანტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტზე.

სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის მოსწავლემ **სოსო კუხალაშვილმა** მოიპოვა 70%-ანი გრანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირებაზე.

სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის მოსწავლემ **ელენე ქუთათელაძემ** მოიპოვა 50%-იანი გრანტი KIU უნივერსიტეტში მენეჯმენტის ფაკულტეტზე.

სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის მოსწავლემ **თინათინ ნვერავამ** მოიპოვა 50%-იანი გრანტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში-დიპლომირებული მედიკოსი.

სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ კუხის საჯარო სკოლის მოსწავლემ **გიორგი ხმალაძემ** მოიპოვა 50%-იანი გრანტი, აგრარულ უნივერსიტეტში, ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია, მექანიკის ინჟინერია-მშენებლობა.

ჯულიეტა ძოგალია,
რესურსცენტრის უფროსი

ნუნუ ბაბუნაშვილი და ქეთევან ბახტაძე თანაუგრძნობენ ციცო გოლეთიანს მამის

ჯამგული გოლეთიანის

გარდაცვალების გამო.

კუხის საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი თანაუგრძნობს თამარ კიკაბიძეს დედამთილის

გუგული გორდაძის

გარდაცვალების გამო.

კუხის საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი თანაუგრძნობს ნინო ბენიძეს დედამთილის

ნაზიკო ბენიძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
მაია ფეიქრიშვილი
ტელ:577397468

სარედაქციო კოლეგია
ნუნუ ფანცულაია
(პასუხისმგებელი მდივანი)
ლია ჩიხლაძე
(კორესპონდენტი)

ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი „ხონი“
დირექტორი ქეთევან ბახტაძე
რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.
ს/კ 444957913
ელფოსტა: xonissainformacio centri@yahoo.com

რედაქციის მისამართი:
მოღიკარბე კაკაბაძის ქ. №15,
საკრებულოს შენობა,
II სართული.

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოშლი 96“-ში
დიზაინერი თეა ბაბაბაძე
ოპერატორი სალომე ბალაბოზი
ქუთაისი, იოანე ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 22-37-11, 22-34-99.

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ
ფასი 50 თეთრი